



**შინაარსი:** 1) საფრანგეთის „გაერთიანებულ“ სოციალისტურ პარტიის კონგრესი.—2) პროფესიონალური მოძრაობა იტალიაში.—3) პროფესიონალური მოძრაობა თფილისში.—4) ბაქოს მუშებში.—5) პროფესიონალური მოძრაობა ჩვენში.—6) მუშათა შორის.—7) რუსეთის ქრონიკა.—8) საზღვარგარეთ.—9) თფილისის მებაღე-მუშათა პროფესიონალური კავშირის წესდება.—10) ფელეტონი: მკაუზავე.

**24 ივნისიდან ქალ. თფილისში გამოდის პროველკვირული გაზეთი**

4923

**ახალი პვეყანა**

გაზეთი ემსახურება პროფესიონალურ მოძრაობას.

მიიღება ხელის მოწერა მხოლოდ პროვინციებიდან. გაზეთი ეღირება წლიურათ 3 მან., ნახევარი წლით—1 მ. 50 კ., სამი თვით 80 კაპ. ცალკე ნომერი თფილისში ღირს **მრთი შაური**, პროვინციაში—6 კაპ.

გაზეთის რედაქცია და კანტონა ვოვლდლე დას. პირდათ მოსალაზარაკებლათ რედაქცია ღებულაბს 11—1 ს. კანტონა დალაბით დას 10—2 ს. და სვლაზობით—5—7 ს. კვირა-უქმე დლე კანტონა და რედაქცია დას 10—12 ს.

ადრესი: თფილისი, სემენოვის ქ. № 4. სტამა „ნაღეკა“, ვ. წივწივაძეს.

**საფრანგეთის „გაერთიანებულ“ სოციალისტურ პარტიის კონგრესი.**

11 აგვისტოს (ახალი სტილით) ქ. ნანსში საფრანგეთის მუშათა პარტიის სიეზდი გაიხსნა. კონგრესს დღიურ წესრიგში შეტანილი ქონდა ბევრი საყურადღებო და სერიოზული საკითხები. კონგრესი ხუთი დღე გა-

გრძელდა. კამათი ცხარე იყო. ყველაზე მეტი ინტერესი ორმა საკითხმა გამოიწვია: ა) დამოკიდებულება სინდიკალისტებსა და პარტიის შორის და ბ) ანტიმილიტარისტული და ანტიპატრიოტული აგიტაცია.

ევროპის სოციალისტური და ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრი გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს კონგრესზე გამართულ კამათს. გაზეთები ცნობებითაა სავსე. ასეთი არაჩვეულებრივი ყურადღება ადვილათ აიხსნება. საფრანგეთის სოციალისტური კონგრესები საზოგადოთ დიდ თეორიულ და ფილოსოფიურ სიღრმეს იჩენენ. მათი აზრი, მათი არგუმენტაცია დიდათ ფასდება სოციალისტურ ბანაკში. ამასთან ისეც დაუმატეთ, რომ საფრანგეთის მუშათა პარტიაში შეხვედრებით საერთაშორისო სოციალისტური აზრის თითქმის ყველა მიმდინარეობას და ამიტომ საფრანგეთის გაერთიანებულ სოციალისტურ პარტიის სიეზდი რეპეტიციაა საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის. ნანსის სიეზდი ამ მხრივ ჩვეულებრივზე მოგებიან პირობებშია. ყველა ის კითხვები, რომელიც შტუტგარტის კონგრესმა უნდა გაარჩიოს, ნანსის სიეზდის დღიურ წესრიგშია შეტანილი. ნანსი შტუტგარტის გენერალური რეპეტიციაა! ყველა ამას ისეც ერთვება, რომ საფრანგეთში მუშები მეტათ დაუახლოვდენ სახელმწიფოს ძალა-უფლებას, მათი პოლიტიკა გართულდა. დღეს ყოველგვარი პოლიტიკური მოქმედება გარკვეულ და დასაბუთებულ პასუხს თხოვლობს... პარტია თავის მოქმედებას და გამოცდილებას თავს უყრის სიეზზე და იქ საზოგადო პრინციპების წინაშე ეგზამენს აქვრინებს.



პირველი და თან მეტათ სერიოზული საკითხი, რომელიც სივლზე გაიჩნა—ეს იყო პარტიის და რევოლუციური სინდიკალიზმის დამოკიდებულება. საფრანგეთის მუშები შეკავშირებულია ორ მძლავრ ორგანიზაციაში, პოლიტიკურში და ეკონომიურში. მათ შორის დამოკიდებულება მეტათ გამწვავებულია. ეს საკითხი ყოველთვის დიდ აურზაურს იწვევდა პარტიაში. უკანასკნელ ხანებში პარტიაშიც და სინდიკალისტებშიც დაიბადა ისეთი მიმდინარეობა, რომელსაც სურს საქმის მოწესრიგება. პარტიაში ამ მიმდინარეობას სათავეში უდგას ჟორესი და ვალიანი, სინდიკალისტებში—ლაგარდელი და პოლ ლუი. ჟორესმა პარტიულ გაზეთ Humanité-ში ადგილიც კი დაუთმო სინდიკალისტურ მწერლებს თავიანთ აზრების საქადაგებლათ; სოციალისტურ გაზეთის ფურცლებზე ამის წყალობით გრიფუელი და პუჟე ანარხისტულ ყირაპალას გადადიოდნენ.—სივლზე ორგვარმა შეხედულებამ გაუწია ერთმანეთს ბრძოლა. ერთი შეხედულების გამომხატველი იყო დორდონის სოციალისტურ ფედერაციის რეზოლიუ-

ცია, ის მოითხოვს მუშების ზოლიტიკურ და ეკონომიურ ორგანიზაციათა საერთო მუშაობას. მეორე შეხედულების გამომხატველია შერის ფედერაციის რეზოლიუცია, ის სრულ ავტონომიას მოითხოვს, როგორც ზოლიტიკურ, ისე ეკონომიურ ორგანიზაციებისთვის. პირველ რეზოლიუციას იცავდა გელი, მეორეს—ჟორესი და ლაგარდელი. კონგრესმა შერის რეზოლიუცია მიიღო და ამით დაიცვა Status quo.

დიდი კამათი გაჩაღდა ანტიმილიტარისტულ აგიტაციის გრულიაშაშა. ამ კითხვაში სამი ბანაკი დაირაზმა ერთმანეთის წინააღმდეგ: ა) დორდონის ფედერაცია, ბ) იონიის ფედერაცია და გ) სენის ფედერაცია. დორდონის რეზოლიუციას ანტიმილიტარისტული და ანტიპატრიოტული აგიტაცია მანებლათ მიაჩნია სოციალისტურ პროპაგანდისათვის, თუმცა მილიტარიზმთან სასტიკ ბრძოლას მოიხზავს. იონიის რეზოლიუცია ომის დროს სამხედრო ვაფიცვის და ამბოხების გამოცხადების მომხრეა. სენის რეზოლიუცია ცდილობს ორი მოწინააღმდეგე შეარიგოს: მისი აზრით მილიტარიზმი მაშინ მოკვდება, როცა ბურჟუაზიას

# ფელეტონი

მ მ კ უ ბ ო ვ მ.

## I.

...გამვლელთა ყურადღებას მაშინვე იპყრობდა თავის სახელოსნოს წინ ცისმარე დღე მდგარი მოკუხული ბებერი. თმა-წვერი თოვლივით თეთრი ქონდა, სახე დაღმეჭილი და დაღარული. ის ბუდეებში ღრმით ჩავარდნილი თვალებით უაზროთ ათვალეირებდა გამვლელთ.

სახელოსნოს წინ ქუჩის განაპირას ორიოდ თეთრათ შედებილი კუბო იდგა გამვლელთა შესახედავათ, კარებთან კი განცხადება იყო გამოკიდული, რომელიც ამბობდა: „კუბოთა სახელოსნო ბეჩუნა ღვანკავასი“, განცხადებაზევე უშნო საღებავითა და ხელით დახატული იყო მოზრდილი კუბო.

## II.

სალამო ჟამი იყო, როდესაც ერთ დღეს ბეჩუნამ ჩვეულებრივზე ადრე მიატოვა სახე-

ლოსნო და ქალაქის ერთ ბნელ ქუჩისკენ გაემართა, სადაც მას ორი ოთახი ეჭირა თავის ცოლთან და ორ ქალიშვილთან ერთად.

— ბეჩუნა! — ვილაც უკან დაეწია ბეჩუნას.

ბეჩუნამ მოუხედა.

— მე გიორგი ვარ, ბეჩუნა... იცი—ამხანაგები გიბარებენ... პროფესიონალური კავშირის გამგეობა გიბარებს... ბეჩუნა...

ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ისმენდა ამ სიტყვებს ბეჩუნა და მოუთმენლათ უნდოდა გაეგო საქმის შინაარსი. ბეჩუნა მეკუბოვეთა კავშირის ერთი დამაარსებელია იყო, მას ამხანაგების ნდობა და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული. ამ შემთხვევაში კი იგი ვერ მიხვდა რაში უნდა ყოფილიყო საქმე და გიორგის შეეკითხა: — გიორგი!.. რაშია საქმე არ იცი?

— არ ვიცი.

— ეკოდინება.

— არ ვიცი...—და გიორგიმ აუხსნა: მე მითხრეს გადაეციო, მოვიდესო, სხვა არაფერი..

— კარგი.

იარაღს აყვრით და მთელი ხალხის შეიარაღებით მუშათა კლასი იარაღს აისხამს; მარა პროლეტარიატი, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, იმის წინაც არ გაჩერდება, რომ სამხედრო გაფიცვა და ამბოხება გამოაცხადოს. კონგრესზე კომპრომისულ რეზოლიუციამ გაიმარჯვა; პარტიამ სენის ფედერაციის რეზოლიუცია მიიღო.

15 აგვისტოს სიეზლი დაიხურა. სამწუხაროთ, ნანსის კონგრესმა იმედები არ გაამართლა და მისი შედეგი ისეთი ნაყოფიერი არ იქნება საფრანგეთის პროლეტარიატისათვის, როგორც ეს მოსალოდნელი იყო.

**პროფესინალური მოძრაობა იტალიაში.\*)**

თანამედროვე იტალია ახალგაზრდა სახელმწიფოა; მან მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში მოიყარა თავი ერთი სკიპეტრის ქვეშ. რა გასაკვირია, რომ იტალიის პროფესიონალური მოძრაობა ჯერ ნორჩი იყო! პირველი მუ-

\*) ამოღებულია პროფესიონალური კავშირების საერთაშორისო სეკრეტარიატის ანგარიშიდან.

გიორგი და ბეჩუნა ნელნელა მიდიოდნენ. ბოლოს ერთ ვიწრო ქუჩაზე გამოვიდნენ და ორივე შეჩერდა. ბეჩუნამ ერთხელ კიდევ სკადა, წინდაწინ შეეტყუა რაში იყო საქმე...

წინა დღით მას ერთმა მეკუბოვემ უსაყვედურა რაღაც შემთხვევა... ბეჩუნა უნდა გაჰკიცხონ, მაგრამ—რისთვის, ბეჩუნას აქ აზრები აერია. სხვადასხვა შავი ფიქრები აეშალა...

**III.**

მეორე დღი ადრიანათ ბეჩუნა გზას გაუღდა.

გამგეობის წევრები—სამი კაცი—ერთ სამიკიტნოში შეკრებილიყვნენ, პატარა მაგიდას გარს შემოსხდომოდნენ, თან პოლიციელთა ეჭვის ასაცდენათ რამდენიმე სტაქანი და ბოთლით ღვინო დაედგათ წინ.

— რამ დავაღონა ბეჩუნ! ა? — შეეკითხა ახალგაზრდა, 23—24 წლის მეკუბოვე ბეჩუნას. ბეჩუნამ პასუხის მაგივრათ კითხვითი ნიშნათ თავი დაიქნია, კოტა ხანს გაჩუმდა და დაიწყო:

შემის ორგანიზაცია („უჩთიერთ დამხმარე კავშირი“) 1870 წ. დაარსდა. 1880 წ-ან დაწყებული მუშებში დაიბადნენ სხვადასხვა ასოციაციები და საზოგადოებები.

პირველი პროფესიონალური კავშირები სტამბის მუშებმა, მექუდეებმა და მეხელთამანებმა მოაწყვეს; მათ ლითონზე და ქვებზე მომუშავეებმა წაბაძეს. პირველ ხანებში იტალიაში ადგილობრივ კავშირებს აწყობდნენ; ცენტრალური კავშირები კი 1890 წ-დან გაჩნდნენ.

1890 წ. იტალიაში პოლიტიკური მოძრაობა გამოცოცხლდა. მუშებმა თავისუფლათ სული მოითქვეს და ხელი მიყვეს კლასობრივი ორგანიზაციების შენებას: ერთი მხრით, ნაციონალური პროფესიონალური კავშირები ფეხს იკიდებდა; მეორე მხრით, სოციალდემოკრატიული პარტიის გავლენით სხვადასხვა პროფესიის ორგანიზაციებმა დაარსეს „შრომის პალატები“ („შრომის პალატა“ იმგვარი დაწესებულებაა, როგორც პროფ. კავშირების ცენტრალური ბიურო; მხოლოდ შრომის პალატა პროფესიის მუშებს აკავშირებს ერთმანეთში და სხვა პროფესიის მუშებ-

— რითი უნდა მოვიღებინო... უკანასკნელ მდგომარეობაში მყავს ცოლშვილი... გაქირვება გაქირვებას ემატება...

— ბეჩუნ, იცი,—დაიწყო მეორე ამხანაგმა, ჩვენ მოვილაპარაკეთ ბეჩუნ შენს საქმეზე... ბევრს არა სწამს, მაგრამ... ჩვენ თვითონ დავრწმუნდით, რომ სინამდვილეა... ეგ შენი ღირსების ახდაა, ბეჩუნ... უნდა დაარიგო ცოლი და ქალიშვილი... არ შეიძლება...

ბეჩუნას ლახვარივით ეცა გულში ეს სიტყვები, ერთბაშათ ცეცხლივით აენთო მონუსტი...

— რა უნდა ვქნა? მე მეთის მოთმენა არ შემიძლია... მე წინადადება მივეცი... ნუ აჩხდი პატიოსნებას და ღირსებას მეთქი... ჩეთი რაღა უნდა ვქნა... მეტი გზა არაა... უნდა გავეყარო...

— ეგ არ შეიძლება... თვალყური უნდა გექიროს... რა დროს სად დადიან—უნდა ჩავგონო...

— აუ! ჩავაგონო!! არ გამიგონებენ...

თან მიუხედავად იმისა, ეკუთვნის ისინი პროფ. კავშირს თუ არა). პირველი შრომის პალატა 1891 წ. დაარსდა.

პირველ ხანებში პროფ. კავშირებმა დიდი ქაზან-წყვეტა გაიარეს; იმისდა მიხედვით თუ როგორი კაბინეტი უდგა სათავეში მთავრობას, პროფესიონალურ კავშირებს ხან თავზე ხელს უსობდნენ და ხან სასტიკათ დევნიდნენ. ამ მხრივ კავშირების ბედ-იღბალი მჭიდროდ იყო დამოკიდებული სოციალდემოკრატიულ პარტიის ბედ-იღბალთან; იმათ ერთად ცემდნენ და ერთად ეფერებოდნენ. 1894 წ. და 1898 წ. პოლიტიკურმა რეაქციამ ორივეს გლახა დღე დააყენა... 1896 წ., როგორც თავისუფალი რეჟიმი დამყარდა, მუშის ორგანიზაციები საოცარი სიჩქარით გაიზარდნენ. მარა მათ მძლავრათ ფრთა მხოლოდ მაშინ გაშალეს, როდესაც 1899 წ. აბსტრუქციამ და 1901 წ. გენუის ვაფიცვამ რეაქციის ძალები დაამსხვრიეს. ამ ხანებში პროლეტარიატის პოლიტიკური ვაფიცვა ისე დიდი იყო, რომ 1902 წ. მუშის ორგანიზაციებში მართო სოფლის მუშა ითვლებოდა 300 ათასი.

პროფესიონალური მოძრაობა იტალიაში ნორმალურ პირობებში ვითარდებოდა. ამას ძლიერ შეუწყობდა ხელი ხაზინების ლოკაუტებმა და საშუალო და წვრილი წარმოების დაკნინებამ. სამაგიეროდ კავშირებს შინაგანი მიზეზები ხელს არ უწყობდნენ. სოციალდემოკრატიული პარტიაში დიდი უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა; ფრაქციებს შორის გამართული იყო დიდი კამათი; ამის გამო პროფესიონალურ კავშირებს ხელი ეშლებოდა. ძმებს შორის ბრძოლა აფერხებდა ყოველდღიურ საქმეს და უშლიდა ვაერთიანებას. 1902 წ. იტალიის პროფესიონალურ კავშირებსა და სხვა საზოგადოებებს შორის არავითარი სერიოზული დამოკიდებულება არ იყო. მხოლოდ დასახლებულ წელში ანდჟიოლო კაბრინის წინადადებით ოცდასუთმა პროფესიონალურმა კავშირმა და შრომის პალატის კავშირმა მუდმივი სეკრეტარიატი დააარსეს. სეკრეტარიატში რვა კაცი შედიოდა, ოთხი პროფ. კავშირების მხრით და ოთხი შრომის პალატებისაგან. იტალიაში პროფესიონალური მოძრაობის სასურველ ნიადაგზე და-

— ამხანაგები წინადადებას გაძლევენ... ამასთან... უნდა გამოგიტყდეთ, რომ, როგორც ამბობენ, ყველაფერი ეს თურმე შენი ნება-რთვით ხდება...

— როგორ?... რაო?... მე... ჩემი ნება-რთვით... თქვენი სინიღისი და პატიოსნება ესაა... ასე უნდა შეუარაცხეთ მოხუცი ამხანაგი... გმადლობთ... მე არ შემძლიან მეტის მოსმენა... მე დღეიდან თქვენი ამხანაგი არა ვარ...

და ბეჩუნ ფეხარეულათ, გაბრაზებული გამოვიდა სამიკიტნოდან. კარებთან უკანასკნელათ პირი იბრუნა და გაიმეორა:

— ეგ არის ამხანაგობა? ეგ არის პატიოსნება?

— იმას ვამბობთ, არ არის თქო პატიოსნება, ბეჩუნ! — მოესმა უკანასკნელათ.

ბეჩუნ ვიწრო ქუჩისკენ მიიმალა

#### IV.

ღამის 11 საათი იქნებოდა. ბეჩუნა დაფიქრებული იწვა ტახტზე. მის წინ შავი სა-

ნათი ოღნავ ხუჭავდა თვალებს და უფრო გულს უღონებდა მოხუცს. მეორე ოთახში ლაპარაკი და იღუმალი სიცილი ისმოდა. ხანგამოშვებით ტკბილი, შეწყობილი სიმღერა და ჩონგურის ხმაც მოესმოდა იქიდან უკვე მთვლეშარე ბეჩუნას...

— როდის.. გაათავებენ, საზიზღარნი!.. — ჩაილაპარაკა თავისთვის და მეორე გვერდზე გადაბრუნდა, სანათს თვალები აარიდა.

უცბათ სიცილი და ჩონგური შეწყდა. გულის მომკვლელ სიჩუმეში ხმაურობა მიწყდა და ძილისაგან უკვე გამორკვეულ ბეჩუნას მოესმა:

— მშვიდობით... ხვალ განახავთ... — კარებმაც იჭრიალეს და სტუმარი წავიდა.

...ზეზე წამოიჭრა ბეჩუნა და საჩქაროთ ბნელ ქუჩაში გავარდა... ღამის სიბნელეში, რომელსაც უღონოთ ებრძოდა შორს, ქუჩის კუთხეში ანთებული ფარანი ბეჩუნამ გააჩნია სამარცხავით სიღუმლოებით მოცული შავი წერტილი... დიდხანს ჯყურა მაგრამ ვის უნდა დამდურებოდა...

საყენებლათ, თუ რომელიმე კავშირის ორგანიზაცია მუშაობს, ეს სეკრეტარიატია.

იტალიაში სამგვარი ეკონომიკური ორგანიზაცია არსებობს: პროფესიონალური კავშირები, შრომის პალატები და კოოპერაციები. დასახელებულ ორგანიზაციათა შორის ამხანაგური განწყობილებაა, ისინი არამც თუ იდეურათ ძმობენ, ორგანიზაციულათაც ცოტათ თუ ბევრათ შეკავშირებულნი არიან. შრომის პალატის სექციები პროფესიონალურ კავშირებში შედიან, პროფესიონალური კავშირები შრომის პალატას ემხრობიან; ასეთივე დამოკიდებულებაა ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებსა და კოოპერაციებს შორის...

იტალიის პროფესიონალური ორგანიზაციები ძლიერ ღარიბებია; იმათ კასაში ფული არ არის და ეს მიუხედავად იმისა, რომ შრომის პალატები აკავშირებენ 188,440 მუშას, პროფესიონალური კავშირები კი—200 ათასზე გაცილებით მეტს (1902 წ. კავშირებში 242,989 წევრი იყო). იტალიის პროფესიონალურ ორგანიზაციების უმეტეს ნაწილს გაფიცვის კასები არ აქვთ; შრომის პალატებს

შიში და უღონობა, უიმედობა და სასოწარკვეთილება—აი რა დაეტყო ამ წუთში პირისახეზე ბეჩუნას.

— ჩემი ნებართვით მოხდა... მისაყვედურეს კიდევც...— გაიფიქრა და, თითქოს თავისივე სიტყვების შეეშინდაო, გაჩუმდა.

შორს, ქუჩის მეორე კუთხიდან მეფხოვის ხშირი სტვენა მოესმა. იმას სტვენითვე მისცეს პასუხი სხვა უბნის მეფხოვეებმაც.

ბეჩუნა კვლავ ოთახში შემობრუნდა. იდეულმა ხმამ უკანასკნელათ ჩასძახა:

— „მშვიდობით! ხვალ განახავთ!“..

V.

ერთ დღეს მასთან სახელოსნოში შემოვიდა მეკუბოვეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობის წევრი გიორგი და გადასცა ამხანაგების გადაწყვეტილება, რომ მას ცოტა ხანი ვადა ეძლევა და მერე ბოიკოტი უნდა გამოუცხადონ.

— რისთვის?— იყო პირველი სიტყვა, რომელიც წარმოისთქვა პასუხათ ბეჩუნამ.

პრინციპიალურათ არ მიაჩნია ისინი საქიროთ, პროფ. კავშირები კი მათ მოწყობას ვერ ახერხებენ.

იტალიაში ოცდაშვიდი პროფესიონალური გაზეთი გამოდის. სოციალდემოკრატიის პარლამენტარულ ფრაქციის სამი დეპუტატი პროფესიონალურ კავშირების წევრებია.

სოციალდემოკრატიულ პარტიას დიდი გავლენა აქვს იტალიის პროფესიონალურ კავშირებზე.

### პროფესიონალური მოძრაობა თფილისში

(კულტურული მოღვაწეობა კავშირებში).

ამას წინეთ ერთი წერილი ჩვენ დავაბოლავეთ შემდეგი სიტყვებით: „წევრთა რიცხვი და ფული ორი უმთავრესი ძალაა კავშირების ხელში“. ეხლა უნდა ვსთქვათ, რომ ეს არის კავშირების მატერიალური ძალა. მარა არის კიდევ კავშირების სიძლიერის მეორე მხარე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი—იდეური ძალა. ამ წერილში ჩვენ გვინდა განსაკუთრებით ამაზე ვილაპარაკოთ.

რაში გამოიხატება კავშირების იდეური

— ღარიბი ხარ, მაგრამ სიღარიბისთვის პატიოსნება არ უნდა გაყიდო... შენ ცოლსა და ქალიშვილს აქირავებ ფულის გულისთვის... შენ სამართლიანათ დამისახურე ზიზლი ამხანაგებისა... ბეჩუნ! შენი სირცხვილი!..

გიორგი გაჩუმდა; დუმდა ბეჩუნაც.

— შენი სირცხვილი...— განაგრძო გიორგიმ,— მთელმა ქვეყანამ იცის, რომ შენ ოთახში სავაჭრო გაქვს გამართული, სადაც უფრო მოგებიანათ ვაჭრობ, ვიდრე აქ, ამ სახელოსნოში... დეე, მთელმა ქვეყანამ იცოდეს, რომ მოხუცი ბეჩუნა ღვანკავა...

— კმარა... თქვენ სცდებით... მე... გიორგი... გთხოვთ, წავიდეთ და ერთხელ კიდევ ვეტყვი ყველას, რომ მეკუბოვე ბეჩუნა ღვანკავა არც ისე ვაჭრობს პატიოსნებითა და სინიღისით, როგორც კუბოებით...

ბეჩუნა წავიდა; იგი ამტკიცებდა, რომ მისი სახლში არაფერი ხდებოდა და არც ის იყო რამეში დამნაშავე. ამხანაგები არ უჯეროდნ და კიდევ რამდენიმე დღეს აძლევდნ

ძალა? ჩვენი კავშირები პროლეტარული კლასიური ორგანიზაციებია; ისინი მოპირდაპირენიან მერვე კლასის, — ბურჟუაზიის. კავშირების არსებობა ამ ორ მოწინააღმდეგე კლასების ინტერესების შეურიგებლობით აიხსნება. ამ შეურიგებელ ბრძოლაში მუშების კავშირები იცვენ პროლეტარულ ინტერესებს. ამას კი ისინი იმდენათ უფრო კარგათ შეასრულებენ, რამდენათ ღონიერი იქნებათ ურთიერთობის კლასიური ინტერესების შეგნებით. იმის შეგნება, რომ მუშების ინტერესები შეურიგებელია ხაზინებებს და საზოგადოთ ბურჟუაზიის ინტერესებთან, ღრმად უნდა იქნეს შეთვისებული კავშირების წევრების მიერ. ასეთი შეგნების ფართე მასსაში განვითარება ძლიერ შეუწყობს ხელს მუშების სოლიდარობას, რაც აუცილებელია საჭიროა ბრძოლაში, და მოახსოვებს ურთიერთობის საზოგადოთ მისთვის — სოციალიზმის განხორციელებას. ამიტომაცაა, რომ ყველა პროლეტარულ ორგანო ხაკებში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული კლასიურ თვითშეგნებას განვითარებას.

თავისთავათ ცხადია, რომ ასეთ შეგნებას

ვღადათ, რომ კარგათ გაეგოთ ყველაფერი.

VI.

კვლავ ჩონგური და კვლავ სიცილ-ხარხარი ესმოდა მერვე ოთახიდან ტახტზე უღონოთ დაგდებულ ბეჩუნას. ჩვეულებრივ სხვადასხვა ფიქრებში გართულს, მას ამჟამათ უფრო მეტი გამბედაობა და იმედი ეხატებოდა ბნელ პირისახეზე ვიდრე სხვა დროს.

— „სხვა გზა არაა... შიმშილისაგან თავის დახწევა, მხოლოდ ამ გზით შეიძლება... სამუშაო არაა... კუბოები არავის სჭირია... ღმერთო!“... — აქ შეწყდა ბეჩუნას ფიქრები. უცბათ კარები გაიღო და შემოვიდა ახალ კაბებში გამოწყობილი ახალგაზდა ქალი, ცოლი ბეჩუნასი. არ გასულა სულ რამდენიმე წუთი და ბეჩუნას ოთახის შესავალ კარებთან ეტლიც გაჩერდა.

კითხვითი ნიშნით პირი დააღო ბეჩუნამ და ტახტზე მწოლარე ცოლს ჩააჩერდა. უკანასკნელისაგან პასუხათ ერთი სიტყვა მოესმა:

— აბანოში.

მუშა მწარე გამოცდილებათ, კაპიტალისტთან ყოველდღიურ ბრძოლით იძენს; ეს ბრძოლა სოციალიზმის საუკეთესო სკოლაა. მარა ამ გამოცდილებასთან ერთად აუცილებელი საჭიროა ამ იდეის პოპულარიზაცია. აი, სწორეთ ამ მიზნით კავშირებში დიდი ალავი აქვს დათმობილი კულტურულ მოღვაწეობას. კულტურული მოღვაწეობის უმთავრესი მიზანია წევრების ზნეობრივი და გონებრივი განვითარება. მისი საშუალებაა ლექციები, რეფერატები, კრებებზე მსჯელობა, წიგნება, ბროშურები, ბიბლიოთეკები, სამკითხველოები, გაზეთები და სხვა. ყველა აქ ჩამოთვლილი საშუალებები ხელს უწყობს წევრების განვითარებას.

კავშირები შეძლებისდაგვარათ ხარობენ ამ საშუალებებს. ჩვენში, რუსეთში, რადგან პროფესიონალური მოძრაობა ახალ ფეხადმუღია, რადგან ჩვენს ნორჩ კავშირებს ძლიერ უშლის ხელს პოლიტიკური პარობები, — ყველა ამის გამო კავშირებს ჯერ კიდევ ვერ განუვითარებიათ თავის მოქმედება და აქ ჩამოთვლილ საშუალებებთ რიგიანათ ვერ სარგებლობენ. ასეთი საშუალებები ძლიერათ განვი-

ბეჩუნ ზეზე წამოიქრა, უნდოდა რაღაც აეხსნა ცოლისათვის, მაგრამ მხოლოდ ამის კითხვა მოასწრო:

— ქეთოც შენთან?..

— ჰო...

კარმაც იქრიალა და ეტლიც დაიძრა.

ბეჩუნა გარეთ გამოვიდა და მიმავალ ეტლს გულამომჯდარი გაჰყურებდა...

VII.

ამის შემდეგ მესამე დღეს ქალაქში, მეკუბოებში პატარა ფურცლები გავრცელდა, რომლითაც „მეკუბოვე ბეჩუნა ღვანკავას“ ბოიკოტს უცხადებდენ ამხანაგები მისი „სახიზღარი საქციელისათვის“. ბეჩუნა შეკრთა. მხოლოდ ახლა გამოერკვა და მიხვდა, თუ რას ნიშნავს პატროსნების შეღახვა და ადამიანის საქვეყნოთ შეურაცხყოფა... მთელმა „ქვეყანამ“ გაიგო მისი ამბავი... ვერა, ამას ვერ მოითმენს ბეჩუნა...

ის ასე ფიქრობდა და თავის დაკარგულ პატროსნების „აღდგენას“ შეეცადა. ამ დღი

თარგებულო სახლგარეეთელ მუშების კავშირებში, ამიტომაც მათ ხარჯთაღრიცხვაში დიდი ალაგი უჭირავს კულტურულ მოღვაწეობის ხარჯებს.

მიუხედავად მძიმე პოლიტიკური პირობებისა კავშირებმა რუსეთშიც მოჰკიდეს ხელი კულტურულ მოღვაწეობას. სხვაფერ შეუძლებელიც იყო. მართალია, ჩვენში ეს მოღვაწეობა ძლიერ ვიწროთაა დაყენებული. სიტყვიერი პროპაგანდა უმეტეს შემთხვევაში ფარულათ ხდება მუშების ვიწრო წრეებში. მწერლობითი პროპაგანდა ლეგალურ ნიადაგზეა დაყენებული, მარა ვაჲ ამისთანა ლეგალურ პირობებს!.. პროფესიონალური გაზეთები აღმინისტრაციის განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს და მის მზრუნველობას ქვეშ სულს ლეგენ...

თფილისის კავშირები კულტურული მოღვაწეობის მხრივ ძლიერ სუსტნი არიან; ამ მხრივ იწინდ რუსეთის კავშირებსაც კა ჩამორჩენ. ამის მიზეზი ბევრია, მარა ერთ უმთავრეს მიზეზთა განია ის, რომ ჩვენი კავშირები პატარებია.\*)

\*) თფილისში არსებობს რამდენიმე დიდი კავშირი, მარა იმათგან ცნობა არა გვაქვს ხელში.

დან ცოლთან და შვილებთან ხშირათ მოსდიოდა უსიამოვნება. ეს უკანასკნელნიც სხვა დროზე უფრო უკმეხათ ექცეოდნენ მას. ბეჩუნამ სახელოსნო დახურა. სახელოსნოს კარებთან ვილაცას ბოიკოტის ფურცლის ერთი ცალი გაეკრა.

ამხანაგებსა და ნაცნობებში ახლა არ დადნოდა ბეჩუნა. არც არვინ უკრავდა მას თავს. მის სახლში კი დაუპატიჟებელი სტუმრები კვლავ განაგრძობდნენ თარეშს... ბეჩუნა რამდენიმეჯერ შეეცადა კავშირი გაეწყვიტა ძველთან, ცხოვრება ახლათ მოეწყოა, ეცხოვრა პატიოსნებით, ამ მიზნით წინადადება მისცა ცოლს, მაგრამ მისმა პასუხმა დაარწმუნა, რომ ბეჩუნას გავლენა დაკარგვია, ბეჩუნას ყურს არვინ უგდებდა, არც არვინ აფასებდა მოხუცს ბეჩუნას.

„მაშ ასე“, — ჰფიქრობდა ბეჩუნა.

ბეჩუნას სამუშაო არ ჰქონდა და ამიტომ თავისუფალ დროს სულ ფიქრებში ატარებდა.

პატარა კავშირებს არც გამოცდილი ამხანაგები ყავთ და არც საშუალება შესწევთ, რომ ასეთი ამხანაგი აიყვანონ. მაშასადამე ასეთი კავშირები ვერც სიტყვიერი და, მით უფრო, ვერც მწერლობითი პროპაგანდას ვერ მოაწყობენ. თერთმეტი კავშირიდან რვა კავშირი იძლევა ცნობებს, რომ მათ ქონიათ მოწყობილი ცოტა რამ კულტურულ მოღვაწეობის მზგავსი. ლექციები და რეფერატები არსად არ ყოფილა. მხოლოდ რამდენიმე ფურცლება გამოუშვიათ, უმეტეს შექთხევაში სააგიტაციო. ეს არის და ეს! კულტურული მოღვაწეობაც ამაში გამოიხატება ჯერ-ჯერობით.

საქმის მდგომარეობა რომ ასე დარჩეს, არ შეიძლება. მაშ რა უნდა ვქნათ?

როგორც ვსთქვით, კულტურული მოღვაწეობის სისუსტის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ კავშირება პატარებია. მაშ უნდა შევეცადოთ, რომ ეს მიზეზი ავიცილოთ თავიდან. უნდა შეერთდნენ ისეთი კავშირები, რომლებიც დაახლოვებულია ერთი მეორესთან მრეწველობას დარგში. მაგალითად, მოსახერხებელია და საქროც, რომ შეერთდნენ სარდაფების მუშე-

ხან კიდევ ქალაქის მეორე განაპირა უბანში გავიდოდა და იქ ერთ საშიკიტნოში სხვებთან ერთათ ღვინოს შეექცეოდა, რომელსაც მას წვრილი საქმეების გაკეთებისათვის უთავაზებდნენ. იქვე მახლობლათ ბოჩანი იყო და ბეჩუნამ ცოტა ხანს იქ შეათარა თავი... დღეში 30 კაპეკამდე იღებდა ბეჩუნა. ამისთან ღვინის სმასაც მოუხშირა...

ერთ დღეს გაზეთებში, პოლიციურ ცნობებში ეწერა: „მდინარე — ში უცაბედათ გადავარდა და დაიხრა უცნობი, რომელიც აღმოჩნდა ყოფილი მეკუბოვე, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები ბეჩუნა ღვანკავა. ღვანკავა მთვრალი ყოფილა“.

ღვანკავას სახლში სტუმრებმა მოუხშირეს სიარული.

იასამანი.



ბის კავშირი, მაგარ სასმელების კავშირი, ლუდის მხარველთა და ლიბონათის მუშათა კავშირები ერთ დიდ მაგარ „სასმელებზე მომუშავეთა კავშირში“. აგრეთვე შესაძლებელია შეერთება ღურგლებისა და სტალრების კავშირების და სხვა. თუ რომელიმე ვიწრო პროფესია უხერხულათ დაინახავს თავისთვის სხეულთან სრულ შეერთებას, იმ შემთხვევაში შესაძლებელია ავტონომიური სექცია მოეწყოს ამ ვიწრო პროფესიაში. ამ გზით შეიძლება კავშირების მოლონიერება, ამნაირათ კავშირები შესძლებენ თავის მოქმედების გაფართოვებას. თორემ ცხლა კავშირები ბევრია, მაგრამ ლონიერა, მომაგრებული და მომქმედი კავშირები კი ცოტაა.

ი. ბ—ძე.

**ბაბოს მუშაობა.**

ბიუროკრატია და ადგილობრივი კაპიტალიზმები დიდი ხანია ცდილობენ ბაქოს მუშებს ბასრი კბილები ამოადონ, მარა მათმა ცდამ დღემდის ნაყოფი არ გამოიღო: მუშებმა შეგნებულა კამოდეკენ და თავი ეინულზე არ გააცურებინეს. დღესაც ბაქოს მუშებს ასალი პადე ესროდეს. მოყვება თუ არა პადეში თეჯი?

ნავთის წარმოება ერთი უდიდესი და უსაჭიროების წარმოებაა რუსეთში; ამისათვის ნავთის ბარონებს დიდი გავლენა აქვთ სასელმწიფოებრივ მექანიზმზე. ბიუროკრატია ყოველგვარ ზომებს ხმარობს, რომ რამენაირათ ნავთის წარმოება და ნავთის მწარმოებლები საუკეთესო პირობებში ჩააყენოს, ამ მიზნის მისაღწევად წინანდელ დროში სრულყოფით საკმარისი იყო, ერთი მხრით, სუბსიდიის კაპიტალიზმისათვის და, მეორე მხრით, ტყავის მათრახი მუშებისათვის; დღეს კი ასეთი ზომებით ფონს გასვლა გაუძნელდათ. უკანასკნელ წლებში ბაქოს მუშებმა დიდი შენგება და გამოცდილება გამოიჩინეს: ისინი მედვრათ იბრძვიან არსებობის და შრომის პირობების გასაუმჯობესებლათ. ბიუროკრატის დასჭირდა სხვაგვარი, „კონსტიტუციური“ ზომები და ის საქმესაც შეუდგა. 1906 წ. აქტომბერში ქ. პეტრობურგში განსაკუთრებული თათბირი გაიმართა. სათათბიროს მიზანი იყო უზრუნველ ეყო ქვა-ნაშირით, ნავთით და მასუთით რუსეთის წარმოება. მი-

ნისტრ ფილქსოფოვის ნებადართვით სათათბიროს დასწრო მუშების რვა წარმომადგენელი. მუშებმა სათათბიროს განსახილველათ წარუდგინეს ოცდათორმეტი მუხლისაგან შემდგარი მოხსენება. მოხსენებაში ნთლათ და მკაფიოთ იყო ნახვერები ის ზომები, რომელთაც შეუძლია ბაქოს მუშების შრომის პირობების გაუმჯობესება. მოხსენება შეეხებოდა ა) საფაბრიკო და სამოქალაქო კანონმდებლობას, ბ) ნავთის ბარონების მიერ კანონების „უკანონო“ მოხმარას, გ) ხელშეკრულებებს კაპიტალიზტებს და მუშებს შორის და დ) მუშების შრომის ადგილობრივ პირობებს. მინისტრმა და მსთან ერთად სათათბირომ ვერ იცნო მოსახერხებლათ მოხსენების დღიურ-წესრიგში შეტანა და წინადადება მიცა მუშებს სათათბიროში გაარჩიონ საკითხები მარტო შემათანხმებულ კამერისა და მუშათა უბნის შესახებ. მუშებმა სათათბირო მიაცტოვეს.

მაშინ ბიუროკრატია მერე ზომას მიმართა; მან ბაქოში წელს 29 იანვარს ნავთის ბარონებს და მუშების წარმომადგენელთა შორის სათათბირო გამართა. სათათბირო უდღეური გამოდგა. ბაქოს მუშების გადაწყვეტილებით სათათბიროში მუშების მხრივ უნდა მიეღო მონაწილეობა უმუშევართა (2) და სიეზდის საბჭოს (1) წარმომადგენელთაც; კაპიტალიზტები ამასე არ დათანხმდენ და სათათბირო დაიშალა.

სამინისტრომ მანც თავისი არ დაიშალა. ფილქსოფოვმა წინადადება მიცა კავკასიის ნამესტნიკის ისეუ შეკრიბოს მუშების და ბარონების სათათბირო. წინადადების სისრულეში მოსაყვანათ ბაქოში გაიგზავნა ნამესტნიკის საბჭოს წევრი ბ. დუხნეოვსკი. ორი თვის წინეთ ბ. დუხნეოვსკი ესტუმრა ბაქოს და მოიწვია მოსალაზნაკებლათ ძველი წარმომადგენლები და ბროფესიონალური კავშირების სეკრეტრები. მუშების წარმომადგენლებმა ცივი უარი განაცხადეს ყოველგვარ მოლაზნაკებაზე და თავის მხრივ წინადადება მისცეს დუხნეოვსკის: თუ მან მუშებთან საქმე უნდა დაიკავოს, მან თავისუფლათ შეკრიბოს და სკა-ბასის ნება დართოს მუშებს; მაშინ და მხოლოდ მაშინ შეიძლება გავიგოთ მუშების სურვილი. დუხნეოვსკი ყოყმანობდა. ორივე მოზიარდაპირე შეუთანხმებლათ დაიშალა.

ცხნოვება კი თავისის არ იშლიდა. ბაქოში

გაფიცვები დაიწყო; შეჩერდა მუშაობა ბორნას და ბიბიებისათვის სსზოგადობის ქარხნებში. ადმინისტრაციას დაფიცურდა, მოიწვია მუშების ყოფილი წარმომადგენლები და გამოუცხადა: „მუშებს ნება აქვთ კრებები გამართონ, თავისუფლად იმსჯელონ და შემდეგ წარმომადგენლები ამოიჩინონ სათათბირის გასამართავათ.“

დღეს ბაქას მუშებს სიტყვის და კრების თავისუფლება აქვთ. იმედია, რომ ბაქას ზრდაეტიკრიატი სსსურველათ შაიხმანს ახალ იარაღს.

**პროტესტიონალური მოძრაობა ჩეხეთში.**

**თფილისის „ვოდოპროვოდჩიკების“ მუშების პროფ. კავშირი.** ვოდოპროვოდჩიკების პროფ. კავშირი უკვე ორი წელიწადია რაც არსებობს; თითქმის არ იყო თფილისში არც ერთი პროფ. კავშირი, როდესაც ის დაარსდა. ამ კავშირის მუშებმა მოახდინეს საერთო კრება, შეიმუშავეს წესდება, ამოირჩიეს ხელმძღვანელი ბიურო, დააარსეს კასა, შეიძინეს საკუთარი ბეჭედი და შეუდგენ საქმეს. პირველ ხანებში კავშირის საქმე, როგორც ახლათ დაარსებული და როგორც ახალი ხილი ჩვენთვის, რასაკვირელია, სუსტათ მიდიოდა; შემდეგ სათავეში ჩაუდგენ ენერგიული ამხანაგები და კავშირიც ამუშავდა. იმართებოდა მასსიური კრებები, დელეგატების კრებები, ბიუროს კრებები და საქმე ცოტათ თუ ბევრათ თავის კალაპოტში ჩადგა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ კავშირის მუშები კავშირის დაარსებისთანავე ძალიან ხალისიანათ შეუდგენ საქმეს. პროფესიაში ხელოსან-შეგირდიანათ 120 კაცამდი ითვლება. ამ კავშირის მუშებს 1906 წ. ქონდათ საერთო გაფიცვა: არ დარჩა არც ერთი სახელოსნო, არც ერთი მუშა, რომ ამ გაფიცვისთვის მხარი არ დაექიროს. გაფიცვა ერთი კვირასაც არ გაგრძელებულა, ის მუშების სრული გამარჯვებით დამთავრდა; ამის გარდა მოხდა ოცამდე კერძო გაფიცვები; ყველა გაფიცვები მუშების სასარგებლოთ გათავდა. გარდა ამისა ამ პროფესიის მუშებს მიუღიათ მონაწილეობა სამჯერ პირველ მაისობის დღესასწაულში მასიური გაფიცვით და რამდენიმე პოლიტიკურ

გაფიცვებში (1905 და 1906 წ.) და სხვა. ამ რამდენიმე ხნის წინეთ ამ კავშირში თითქმის ხუთი თვე მუშაობა სრულიად შესწყდა; მიზეზი ამხანაგების უმეცადინობა იყო. მაგრამ 1907 წ. დასაწყისში ამხანაგები გონს მოვიდნენ, დაინახეს რომ უკავშიროთ, ე. ი. შეუერთებლათ შეუძლებელი გახდა იმ უფლებების შერჩენა, რომლებიც მათ ბრძოლით მოიპოვეს და ხელახლათ დაიწყეს კავშირის გასამაგრებლათ მუშაობა. მართლაც ამხანაგების ცდამ უნაყოფოთ არ ჩაიარა და კავშირი ჩადგა ნორმალურ კალაპოტში. მხოლოდ უმთავრეს რამეს არ აქცევდნ საკმარის ყურადღებას კავშირის მეთაური ამხანაგები, სახელდობრ იმას, რომ მასში პრაპაგანდა-აგიტაცია არ აქვთ მოწყობილი. კავშირმა ორ წელიწადზე მეტია, რაც რვა საათის სამუშაოდლე მოიპოვა. აქვე აღსანიშნავია ერთი საყურადღებო მოვლენა: პროფესიაში ერთხანს გავრცელებული იყო კარტის და ბილიარდის თამაში; ამ მოვლენას მიაქცია ყურადღება კავშირის ბიურომ და მოიწვია დელეგატების კრება: იმსჯელეს იმაზე, თუ როგორ მოეპოვათ ეს საზიზლარი საქციელი. ბევრი კამათის შემდეგ დაადგინეს ბოიკოტი გამოეცხადოს ყოველგვარ თამაშს და ამასთანავე ამოირჩიეს რაიონული კომისიები. ამ კომისიების მოვალეობა იყო, რომ თვალყური ედევნებინათ ყოველგვარ ზნეობრივ გაზრწილებისათვის. მართლაც ბოიკოტი სასურველათ გატარდა, არამც თუ კავშირის წევრებმა, არამედ არაწევრებმაც კი დაანებეს თავი თამაშობას. ამნაირათ ამ მხრივ ცოტათ თუ ბევრათ უზრუნველყოფილია კავშირი. გარდა ამისა კომისიას დავალებული აქვს ყოველ წევრს თვალყური ადევნოს, რომ სახელოსნოებში ქურდობა არავინ ჩაიდინოს და თუ ჩაიდინა ვინემ დაუყოვნებლივ ეცნობოს კავშირის ბიუროს. წინა დღეებში შეამჩნიეს ერთ ამხანაგს ქურდობა. მაშინვე წინადადება ექნა მიცემული იმ ამხანაგს, რომ გადაყენებულ იქნას მუშაობიდან მანამდი, სანამ ის გამართლებოდეს; წინა აღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ადგილი დაკარგოს.—უკანასკნელ კვირებში კავშირმა მიაქცია ყურადღება მუშაობის მოუწყვსრიგე-

ბლობას. ამისათვის კავშირის ბიურომ შეიმუშავა მუშაობისათვის წესრიგი და წარუდგინა კავშირების ცენტრალურ ბიუროს განსახილველათ და დასაპტკიცებლათ.

**მუშა სანდრო.**

**რკინის გზის მუშებში.** პროფსიონალური კავშირები რკინის გზის მომუშავეებში მხოლოდ „კერასინოპროვოდის“ და საქონლის სადგურის მუშებში არსებობენ; სხვა დარგში კავშირები ან სრულებით არ არსებობენ და ან ძლიერ სუსტნი არიან. მაგალითების შორს ძებნა არ დაგვირდება: თფილისში არსებობს თითქმის პარტიული კავშირი, რომლის წევრათ პარტიის წევრებს და თანამგრობნობებს ღებულობენ და როველიც პროცენტებს აძლევს საკუთარ პარტიას. ასეთი კავშირი ვერ აერთიანებს მუშების ფართო მასსას, თუმცა თვით მასსაში დიდი სურვილია შეკავშირების. საქირაა რკინის გზის მუშებში უპარტიო პროფსიონალური კავშირების მოწყობა. აღნიშნულ საკითხის შესახებ ამ დღეებში მომხდარ რკინის გზის მოსამსახურეთა პარტიულ კონფერენციას ქონდა სჯავაბასი. კონფერენციამ დიდი კამათის შემდეგ დაადგინა „რკინის გზის მუშების ფართო მასსის ეკანომიურ ბრძოლის ნიადაგზე შესაკავშირებლათ“ უპარტიო პროფსიონალური კავშირების მოწყობა. ასეთი კავშირები ხუთი ტიპის უნდა მთავყოს: ცალ-ცალკე კავშირები უნდა გამართონ „ტიფისი“ (მემანქანები და მათი თანაშემწეები, სლეისრები და მათი თანაშემწეები, დეპოს მუშები, მოწაფეები და სხვანი), ლიანდაგის („რემონტის“ მუშები ყველა წოდებისა), „მოდრაობის“ (გადამამლეები, მატარებლის შემდგენლები, კანდუქტორები, მისრები, კანტორის მოსამსახურეები და სხვა), „კერასინოპროვოდის“ მოსამსახურეებმა და შემთხვევითი მუშებმა (არტელით მომუშავეები, დამტვირთელები). ლეგალურ კავშირების მოსაწყობათ რკინის გზის მუშებმა უნდა გამოიყენონ 4 მარტის კანონი.

**ღებო.**

**მესამე რაიონში.** ამ დღეებში მესამე რაიონში გაიმართა კონფერენცია, რომელმაც სხვათა შორის გაარჩია საკითხი ლოკაუტების შესახებ. საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია.

ყველა ამხანაგები იმ დასკვნადის მიდიოდენ, რომ ლოკაუტებთან საბრძოლველათ საქირაა მუშების შეკავშირება უპარტიო პროფსიონალურ კავშირებში; მაგრამ ვინაიდან ამ კავშირებს ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, ამიტომ კონფერენციამ დაადგინა, რომ ყველა პროფსიონალური კავშირებიდან იქნან გამოყოფილი ცალკე ფუნქციონალური კომისია, რომელსაც ანტილოკაუტური კომისია ეწოდება. ანტილოკაუტური კომისიების მოსაწყობათ კონფერენციამ ხუთი კაცი ამოირჩია. ანტილოკაუტური კომისიების დანიშნულებას შეადგენს: ა) უხელმძღვანელოს და შეძლებისადგვარათ დახმარება აღმოუჩინოს ლოკაუტებისაგან წამებულ მუშებს, ბ) თვალყური ადევნონ მუშებს, რომ უბრალო საბაზი არ მისცენ კაპიტალისტებს ლოკაუტების გამოსაცხადებლათ და გ) აუხსნან მუშებს ლოკაუტების მნიშვნელობა.

**მუშა არჩილა.**

**აჯიკაბული.** აჯიკაბულის ბუფეთის მოსამსახურეებს კავშირი აქვთ მოწყობილი; კავშირში დღემდის შედის 16 კაცი. აჯიკაბულის პროფ. კავშირი ბალაჯირის მოსამსახურეთა კავშირის რაიონული ორგანიზაციით იფლდება, მარა ბალაჯარი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ადგილობრივ რაიონულ კავშირს; ამიტომაც აჯიკაბულის კავშირმა გადაწყვიტა თფილისის მოსამსახურეთა კავშირის რაიონათ გამოაცხადოს თავი და თხოვოს მას ხელმძღვანელობა. ამ საკითხის გადასაწყვეტათ და მოსალაპარაკებლათ თფილისში გაიგზავნა ამორჩეული პირი. აჯიკაბულის რაიონული კავშირი შემდეგ პირობებს უსვამს თფილისის მოსამსახურეთა კავშირს: ა) აჯიკაბულში დანიშნოს რაიონული წარმომადგენელი, ბ) აჯიკაბულს მიეცეს ნება ადგილობრივ აწარმოვოს საკუთარი საქმეები, გ) გაეგზავნოს მოქმედების ინსტრუქცია და დ) ნება მიეცეს აჯიკაბულის რაიონულ კავშირს მიიღოს წევრათ „პასუდნიკები“ და ხელზე მოსამსახურეთა თანაშემწეები.

**ბათუმი.** ბათუმში რა?დენიმე პროფსიონალური კავშირი არსებობს. არის მათი შეისაერთებელი ცენტრალური საბჭოც. წინა

კვირაში პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ საბჭოს კრება გაიშარათა. საბჭომ სხვათაშორის გაარჩია „კახეთის“ საზოგადოების და მუშების საქმე და გადაწყვიტა მატერიალური, ფიზიკური და ზნეობრივი დახმარება გაუწიოს თფილისელ ამხანაგებს.

## მუშათა შორის

**ლიმონათის ქარხნების მუშების გამარჯვება.** ამ ერთი თვის წინათ „ზარის“ ლიმონათის ქარხნის მუშებმა შეიმუშავეს მოთხოვნები და არჩეულ კომისიის ხელით წარუდგინეს ხაზინის. ხაზინმა ქალაქი, რომელზედაც აღნიშნული იყო მოთხოვნები, დახია და შეყვირა კომისიას: „ვინ მოგცათ იმის უფლება, რომ რაღაცეებს მოხოვთ? ნუთუ არ იცით, რომ ჩემს წინაშე ხმის ამოდების უფლება არ გაქვით?“—ასეთ უტიფარ საქციელზე მუშებმა გაფიცვით უბასუხეს. ხაზინს გაფიცვა, რასაკვირველია; არ ესია მოვინა და შეუდგა მის ჩაშლას. მან სხვა ლიმონათის ქარხნების პატრონებს სთხოვა დახმარება. როგორც მოსალოდნელი იყო, დანარჩენმა ხაზინებმა შემდეგი პასუხი მისცეს: „შენ რომ ეხლა შენი მუშები დააკმაყოფილო, ხვალ ჩვენი მუშები ჩვენ წარმოგვიდგენენ მოთხოვნებსო; ნუ დაგვლუბავ, ნუ დააკმაყოფილებ და რაც ზარალი მოგივა გაფიცვით ჩვენ აგინაზღაურებთო. გამხნევებული აკოფოვი გაჯიუტდა და მუშების დაკმაყოფილებაზე არც კი ფიქრობდა. დანარჩენი სიხარულით ფეხზე არ იდგენ, მაგრამ ეგ სიხარული ხანმოკლე გამოდგა. „ევეგნი ზემელის“ (ეგ ქარხანაც ბ. აკოფოვისაა) „გენატის“ და ხანჯალაძის ლიმონათის ქარხნების მუშებმა ხაზინებს მოთხოვნები წარუდგინეს. მეორე ქარხნის მუშების მოთხოვნების წარდგენამ ბ. აკოფოვი ძალიან დააფიქრა. მან საჩქაროთ შეკრიბა ყველა ლიმონათის ქარხნების ხაზინები და დაიწყეს კამათი, თუ როგორ უნდა ებრძოლონ მუშებს. ბევრი იმსჯელენ, მაგრამ ვერაფერს გახდენ. ბოლოს მათ შორის იჩინა თავი უთანხმოებამ. ბ. აკოფოვმა კრებას წინადადება მისცა გამოაცხადონ საერთო ლოკალტი. ეს წინადადება

კრების უმრავლესობამ უარყო. ბ. აკოფოვი განრისხდა, რადგანაც მისი წინადადება არ მიიღეს და დემონსტრატულათ გავიდა კრებიდან. მეორე დღეს აკოფოვმა დააკმაყოფილა ორივე ქარხნის მუშების მოთხოვნები.

ამის შემდეგ ყველა ზემოთ დასახელებულ ქარხნის მუშები გაუფიცავათ დაკმაყოფილებულ იქმნენ. გაფიცვას ხელმძღვანელობდა მათი პროფესიონალური კავშირი, და მას შესაფერი სამსახურიც გაუწია.

### ბარელი.

**მეფოვეებში.** ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თფილისში დაარსდა მეფოვეთა ინსტიტუტი და მას შემდეგ რამოდენიმე ათასი სამშობლოს და კაცობრიობის საუკეთესო ნაწილს მოწყვეტილნი შრომის შეილები ეწვევიან აუტანელ ჭაპან-წყვეტას...

მეფოვეთა ინსტიტუტი დაარსდა 1902 წ. და აქედან დაწყებული მეფოვეთა მოვალეობას შეადგენდა: რიგისამებ ყარაულობა ქუჩებში, რომელიც განაწილებული იყო შემდეგი სახით: პირველი სმენა ყარაულობდა სალამოს ექვსი საათიდან ღამის 12 საათამდე; მეორე—თორმეტი საათიდან ღამის ექვს საათამდე; ექვსი საათიდან 9 საათამდე გვიდენ ქუჩებს და სახლის ეზოებს დანიშნულ საზღვრებში; შემდეგ ნაწილდება რიგრიგობით პოლიციის სანაწილოებში „დეჟურნობა“. პირველი სმენა „დეჟურნობა“ ღამის 9 საათიდან ღამის ორ საათამდე, მეორე—ორი საათიდან სალამოს ექვს საათამდე, ხოლო ექვსი საათიდან კვლავ რიგისამებრ გამოდიოდენ „ფართუკებით“ და დიდრონი კეტებით საყარაულოთ ქუჩებში. ამასთან გაროდგოვი-უბნის ზედამხედველი აგვევინებდა მეფოვეთ იმ ქუჩებს, სადაც რაიმე მიზეზების გამო მეფოვე არ იყო დაქირავებული, აზიდვინებდა სახლში „პრავიზიას“ და ასრულებებდა ხელზე მოსამსახურის მოვალეობას; სამსახურისათვის გასამჯელოს მეფოვე ღებულობდა სახლის პატრონისაგან: მანეთიდან დაწყებული ოც მანეთამდე და ხანდისხან „ნასუფრალზეც“ მიიპატიებდენ ხოლმე.

1906 წლის დასაწყისში, ჟამთა ვითარების გამო, თფილისის გენერალ-გუბერნატორ-

რის განკარგულებით, მეეზოვეთა დამოკიდებულება პოლიციის სანაწილოებში სამსახურზე, (როგორც არის პოლიციებში რიგისამებრ დეჟურნობა და სხვა წვრილმანი) მოისპო და ყოველი საქმე მეეზოვეთა შესახებ გადაეცა ქალაქის თვითმართველობას. ქალაქის თვითმართველობამ მიიღო რა, მეეზოვეთა ბატონ-პატრონობა თავის კალთის ქვეშ, 15 იანვარს 1906 წ. შეადგინა მათთვის სავალდებულო ინსტრუქცია 18 მუხლისაგან და წარუდგინა თფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლათ; გუბერნატორმა იმავე წლის 19 იანვარს ინსტრუქცია დაამტკიცა და ბრძანა მისი უცვლელათ აღსრულება.

მეეზოვეებმა თავი თავისუფლათ იგრძნეს. მოგვხსენებთ, ამ წუთი სოფლათ ყოველივე წარმავალი და მეეზოვეთა „ვითომდა და გაუმჯობესებული ცხოვრება ხელ ახლა შეიცვალა“ ამ წლის პირველ ივლისიდან მეეზოვეთა არმია კვლავ გამოვიდა ქუჩაში დიდრონი კეტებით ხელში, „ფართუკებით“ და შეუღვა ნაცნობ ვალდებულობის აღსრულებას.

ახალმა შემავიწროებელმა ზომებმა დაბადა მეეზოვეთა შორის იღვა შეკავშირებისა, მაგრამ, ქართული თქმულების არ იყოს: „აწევას ღონე უნდა, მოტანას შეძლებაო,“ ამათ არც ერთი აქვთ და არც მეორე, დაწრიალებენ უდედო წიწილასავით, ყველას შესჩივიან თავიანთ გაქვირებულ მდგომარეობაზე, ყველას შეველას შესთხოვენ, მაგრამ ამათ, ჯერ-ჯერობით ყოველივე მათი მუდარაჩივილი რჩება „ხმათ მღალადებლისა უდაბნოსა შინა“.

**„უაუაჩო“.**

**ავჭალის „ლინიის“ კონკაზე მოსამსახურეებში.** (პასუხათ „ტყის კაცს“). „ახალი ქვეყნის“ მეექვსე ნომერში მოთავსებულია ბ. ტყის კაცის წერილი ავჭალის კონკაზე მოსამსახურეთა შესახებ: ავტორი გვიკვირებს ჩვენ, რომ თითქოს 16 საათს ვმუშაობდეთ და „იმ დროს, როდესაც ათასობით მუშები უადგილოთ, მშვირები არიან“ ერთი კაცი ორი კაცის საქმეს ვასრულებდეთ... ოღონდაც, რომ საკვირისონი ვიქნებოდით, ეს ბრალდება მართალი რომ იყოს! სამწუხაროთ, ის თავიდან ბოლომდე მტკნარი სიცრუეა.—ავჭალის „ლი-

ნიაზე“ ყოველდღე შეიდი ვაგონი მუშაობს; ამ ვაგონებს სჭირია თოთხმეტი კონდუქტორი და თოთხმეტი „ქუჩერი“; ლინიაზე კი მსახურობენ 17 კონდუქტორი და 16 „ქუჩერი“ ე. ი. ხუთი კაცი ზედმეტია. ხუთი ეს ამხანაგი „რეზერვში“ ითვლება და, როდესაც ვინმე ან ავთ განდება ან დასასვენებლათ არის, მაშინ მუშაობენ; ისინი ჯამაგირს ღღეში ცამეტ შაურს მაშინაც კი იღებენ, როცა სამსახურს არ ასრულებენ. ავჭალის „ლინიაზე“ მუშაობა იმდენ ხანს გრძელდება, როგორც ელექტრონის ტრამვაიაზე... გასაკვირია, საიდან ამოკრიფა თავის ცნობები ბ. ტყის კაცმა? ბ. ტყის კაცს თუ სიმართლე აინტერესებს, მოვიდეს და თავის თვალთ ნახოს ყველა ის, რასაც ჩვენ ვწერთ.

**არწივი.**

**პარიკმახერთა შორის.** პარიკმახერების მასახლისი წამალოვი არ ცხრება. მისი საქმენი საგმირონი არა ერთხელ იყო პრესაში გამოქვეყნებული, მარა ის მაინც თავისას არ იშლის. აი ეხლაც; სამი კვირის წინეთ ბ. ვეზირიშვილის საპარაკმახეროდან ერთი მუშა მეორე საპარიკმახეროში გადავიდა; იქ მას უკეთესი შრომის პირობები მოელოდა. ბ. ვეზირიშვილს „მუშის თავხედობა“ ეწყინა და ცეხის მამასახლისს შესჩივლა. დატრიალდა წამალოვი და მუქარის წერილი გაუგზავნა „უორ პარიკმახერს.“ წერილზე პარიკმახერების ცეხის შტემპელი აზის. აქავე მისი შინაარსი მოგყავს: „ძმაო მიხაკო! მე, პარიკმახერთა სტარშინა, გიორგი წამალოვი გთხოვ ამ წერილის მიღებისთანავე დაითხოვო თქვენს ქარხანაში მომუშავე ქარგალი გიორგი თაბურიძე, რომელიც მუშაობს თქვენს ქარხანაში და არ ამუშაოთ მინამ ხსენის და ჩემი ხელწერილი არ ექნება, რომ იგი გასწორებულია ძველ ხსენთან ძველში 1906 წ. და წრევეანდელში და აქვს ნება იმუშაოს ყველგან. უკეთუ ამას არ დასრულებთ თქვენ გამოგეცხადებთ ბოიკოტი მთელი აშქრადან და ჯარშია გადავხდებთ თქვენ ხუთი მანეთი და ქარგალს სამი მანეთი დღიდან ამ წერილის მიღებასა. 9 აგვისტოს 1907 წ.“

საინტერესოა, აგვისტოს ბ. სტარშინამ, ვინ მიცა მას ნება ბოიკოტის გამოცხადების

და დაჯარიმების? რამდენი ხანია, რაც ბოიკოტი და ცეხის შტემპლი ერთად ზიან ქალღღმურს? აგრეთვე ვინ მიცა ბ. წამალოვს ნება ილაპარაკოს ამქარის პირით, როდესაც თვით ამქარს არაფერი არ გადაუწყვეტია?— რასაკვირველია, წერილის დაწერაში ქრთამს არა აქვს ადგილი, მარა... მისი დამწერი ჭკუაზე რომ მწყურალათაა, ეს კი მართალია.

**მე გახლავარ.**

**„მირის“ ფაბრიკაში.** „მირის“ ფაბრიკის ადმინისტრაციამ გამოაცხადა განკარგულება 60 მუშის დათხოვის შესახებ. მუშების დათხოვის მიზეზით ფაბრიკის ადმინისტრაცია ასახელებს წარმოების კრიზისს. მუშებში მღელვარებაა.

**ბაქო.** „ბაქოს პირველ მანუფაქტურულ ამხანაგობაში“ გაფიცვაა. გაფიცვა გამოიწვია 3 მოწინავე ამხანაგის დათხოვნამ. თუმცა ამხანაგობის ადმინისტრაცია ნოქრების დათხოვნას „შტატის შემცირებით“ ამართლებს, მარა ნამდვილათ კი ეს ასე არაა; ისინი დაითხოვეს, რადგან შარშანდელ გაფიცვის მეთაურებათ ითვლებოდნენ. ამ უსამართლობის გამო გაიფიცნენ „ამხანაგობის“ ყველა ნოქრები, რიცხვით 25 კაცი. ნოქრები თხოულობენ, რომ ადმინისტრაციამ მოსამსახურეებსვე მიანდოს იმის გადაწყვეტა, თუ ვინ უნდა იქნას დათხოვნილი. თვეზე მეტია რაც გაფიცვა გრძელდება. ბაქოს ნოქრების კავშირს გაფიცულთა ალაგი სასტიკ ბოიკოტ ქვეშ აქვთ გამოცხადებული. არც ერთი ნოქარი არ იქერს მათ ალაგს. მაღაზია დაკეტლია.

**X.**

**რუსეთის ქრონიკა.**

**ცარიცინი.** მაქსიმოვის ხის მხერხავი ქარხნების მუშები გაიფიცნენ. გაფიცულია სულ 400 მუშა. ადმინისტრაცია მოწადინებულია გაფიცულთა ალაგს „უგალოვნი“ ტუსადები ჩააყენოს. პოლიცია ზომებს ღებულობს, რომ გაფიცვა ქალაქის ქარხნებს არ მოედოს. მოქალაქეებს ჩხრეკენ.

**კასტრამა.** ძაფის მრთველ ფაბრიკაში გაფიცვა დამთავრდა. მუშებმა ბრძოლა წააგეს.

**პეტერბურგი.** შარშან წინ რკინის გზის

გაფიცვის დროს დაუთხოვნიათ ადგილიდან 59,379 მოსამსახურე; მათ შორის დღემდის მიღებულია 35,379, ცუდათ დარჩენილია 23,816.—კარგი ხანია, რაც კიბელის ლიტოგრაფიაში გაფიცვა წარმოებს; ხაზინი მოლაპარაკების გამართვის თხოვეს მუშებს, მუშები უარზე დგანან—„კავშირი დაკეტილია, გამგეობის წევრები დაქერილია.“—გაფიცვა 14 მეტყავეების სახელოსნო; მუშები თხოულობენ „ხაზინების ბინების“ გაუქმებას და სამუშაო ხელფასის 10 პროცენტით მომატებას.

**კუოკალა.** (ფინლიანდია). სახალხო სახლში 5 აგვისტოს გაიხსნა პეტერბურგის ნოქრების კონფერენცია. კრება გაიხსნა 2 საათზე. კონფერენციას 84 დელეგატი დაესწრო. კრებამ ორი საათი სჯა-ბაასი ძლივს მოასწო, რომ ადგილობრივი ლენსმანის სახელით პოლიციელი ესტუმრა და კრება დახურა. დელეგატები პეტერბურგში დაბრუნდნენ.

**პეტერბურგი.** ადმინისტრაციამ არ დაამტკიცა მეზულკე-კანდიტრების პროფესიონალური კავშირის წესდება.—გრაღონაჩაღნიკმა შეკრების ნება არ მიცა ძაფეულებზე მომუშავე მუშებს.—„ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის“ კოლპინის განყოფილების ბიუროს პრისტავმა წევრების სახელი, გვარი და ადრესი მოთხოვა; გამგეობამ პრისტავს უარი შეუთვალა.

**პეტერბურგი.** 9 აგვისტოს გაადეს ბექდვითი საქმის მუშათა კავშირის ბინა.

**პეტერბურგი.** 7 აგვისტოს გაანთავისუფლეს ამას წინეთ დაქერილი „ბექდვითი საქმის მუშათა კავშირის“ 60 წევრი.—გაანთავისუფლეს „ლითონზე მომუშავეთა კავშირის“ თითქმის ყველა წევრი (8 კაცს ასახლებენ ჩრდილოეთ ქვეყნებში).—სატუსალოში დარჩა „ლიტოგრაფიებში მომუშავეთა კავშირის“ ხუთი წევრი.

**მოსკოვი.** პერლოვის ჩაის ფირმის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ამწონთა განყოფილებაში ვაეი-მუშების მაგიერ ქალი-მუშები დაიქირავონ. ამის წინააღმდეგ მუშები ამხედრდა და არჩეული პირები მიუგზავნა ადმინისტრაციას მოსალაპარაკებლათ. მუშები თხოულობდნენ status quo-ს დაცვას; წინააღმდეგ შემთხვე-

ვაში ფორმას გაფიცვით ემუქრებიან. ადმინისტრაციამ ცივი უარი შეუთვალა მუშებს. მუშებში აშის შემდეგ მღელვარება დაიწყო. საქმეში პოლიცია ჩაერია და დაატყვევა რამოდენიმე მუშა. მუშებმა მოითხოვეს დატყვევებულთა განთავისუფლება, მარა მათი მოთხოვნა მოთხოვნათვე დარჩა. მაშინ დაიწყო საერთო გაფიცვა. ფორმამ თავის ყოველდღიური მუშაობა შესწყვიტა.

**სმარგონი.** მეტყვევების გაფიცვა დამთავრდა. მუშების მოთხოვნები კაპიტალისტებმა დააკმაყოფილეს. გაფიცვა ორი თვე გრძელდებოდა.

**პეტერბურგი.** ეშრონის სტამბაში მუშებსა და ხაზინებს შორის უთანხმოება დაიბადა. ხელშეკრულობის ძალით წიგნის განყოფილებაში მიიღება სხვა განყოფილების მუშები კენკის ყრით. რამოდენიმე დღის წინ ხაზინმა მოიწვია წიგნის განყოფილებისათვის გარემე მუშა. ძველ მუშებმა მოილაპარაკეს და უკანონო იცნენ ხაზინის მოქმედება. საქმე კონფლიქტის კამისიას გადაეცა გასარჩევით.

**კრემენჩუგი.** ნემეცის წისქვილის მუშები გაიფიცა.

**პეტერბურგი.** ზოგიერთ სტამბაში არღებულობენ 6 აგვისტოს ციხიდან გამოშვებულ მუშებს; ბეკვლითი საქმის კავშირის გამოგობამ გადაწყვიტა უსათუოთ უკან მიაღებინოს ხაზინებს მუშები.—ნემეცის გემისმშენებელ ქარხანაში ფოლადის ჩამოსახამ განყოფილებაში ითხოვენ 57 მუშას და გემისმკეთებელ განყოფილებაში—50 კაცს.

**საზღვარბარძი.**

**გერმანია.** მეტსამეტე საუკუნეში ძლიერ ვართუდად მუშების სამოქალაქო მდგომარეობა; გამოიწვა ახალი სოციალიზმის კანონები, გართუდად მუშების დამოკიდებულება სსხელმწიფოსთან და ქალაქის საბჭოებთან. მუშებისათვის სსხირო კანდა ისეთი ორგანიზაცია, რომელიც იურიდიულ და უფლებრივ ცნობებს მიაწვდიდა მასსს. ასეთ ორგანიზაციის მაგიერობას ზირველ ხანებში სტალიდემოკრატიული კასეთი უწევდა, მარა მალე ის ვერ აუვად აუარებელ მუშაობას. მაშინ ზროფესიონალურ კავშირებმა აიღეს თავის თავსე მასისათვის სსხირო ცნობების მიწვდენა და ამისათვის სხეტილური ორგანოც კი დაასრეს—სეკრეტარიატი. ზირველი მუშათა სეკრეტარიატი გერმანიაში 1894 წ. 1 იანვარს ქ. ნიურნბერგში

„ლითონსე მომუშავეთა კავშირმა“ დაასრს. ამ იღეს ინიციატორი იყო აწ განსვენებული კანონმდებელი; ზირველ სეკრეტარიათი ამოიწიეს ზროფესიონალურ კავშირის წევრი მარტინ სეკიტცი. სეკრეტარიატს ზროფესიონალური კავშირები ინახავენ, მხოლოდ ოდენბურგში და კობურგ-ჰოტში სსში სეკრეტარიატი სსახსინო ან კომუნალურ ქონებდას იღებს დასმარებას. სუდ გერმანიაში 85 სეკრეტარიატი და 116 ცნობის მომწოდებელი ბიურო ასრებობს. სეკრეტარიატი მხოლოდ თავის კავშირის წევრებს აწვდის ცნობებს, სხეებს კი გადასახდას ართმეკს (32 სეკრეტარიატი სრულებით არ აწვდის ცნობებს კავშირის არა წევრებს). რას აკეთებს სეკრეტარიატი? სეკრეტარიატის მოვლეობა და სსქმე მეკათ რთუდას: სეკრეტარიატი იძლევა განმარტებებს და ცნობებს იურიდიულ კითხვებში, წერს თხროგებს და აწარმოებს სსხივრებს, ზირდათ ზრუნავს სსხა და სსხა დაწესებულებებში, ეწევა ავტაცციას ზროფესიონალური ორგანიზაციების სსახრებლოთ, აწვობს კავშირებს, უძღვება კავშირის სსქმებს, კრებს სტატისტიკურ ცნობებს სსმუშათა ხელფასის და მუშების ცხოვრების ზირბების შესახებ... როგორ დიდი სსჭიროებას სეკრეტარიატში ამას ამტკიცებს შემდეგი ციფრები: სეკრეტარიატს იურიდიული დასმარებას გაუწევა 382, 261 შემთხვევაში, სეკრეტარიატს დაუწერია 91, 969 თხრონა, 1930 წელ სეკრეტარიატს უკისრია ზირდადი ზრუნვა თავის კლიენტების სსქმის შესახებ და ბეერი სსხა.—სსახტრეკიცია ამის ცხრილი, თუ რა კითხვები აინტერესება მუშებს: მუშებს აინტერესება და დასდევის სსქმე, მუშაობის ხელფასი, სსმოქალაქო სსმართალი (ბინების დაქირავება, სესხის უკანვე დაბრუნების მოთხოვნა, მეშვედრეობის სსკითხი, ინვალიდების სსკითხი, ზირდადის ანაზღაურება, ოპკა, ქორწინება), სისხლის სსმართალი, მუშათა მოძრაობა, კომუნალური და სსხელმწიფო უფლებები (გდასახდადი, ღირბთა მზრუნველობა, სსმხედრო სსმსახური, სსსწავლებელი და ეკლესია, სსარჩევრო უფლებები), სსხელმწიფო და კერძო დასდევება, სელშეკრულება (დავა სსმუშათა ქირის შესახებ, მოსამსახურეთა და ბატონთა ურთიერთობა, შეკირდის და ხელფასისათა თანამეწეების მდგომარეობა, მუშათა დანვა, ხელშეკრულობის დარღვევა) და ბეერი სსხა სსკითხები.

**ინგლისი,** ბელფასტის გაიფიცვა დამთავრდა. კაპიტალისტები დათანხმდენ ათი სსათის სსმუშათა დღეზე (შბათობით რვა სსათი), ეკლას გაიფიცულების უკან მიდებასე და ზოგ სსხა მოთხოვნებზე. ქალაქის ცხოვრება ნორმალურ კალანობში ხდა.

**გერმანია.** ზემო სილეზიის მადროების

მუშებში დიდი უკმაყოფილება სუფევს. ალბათ გე-  
სსომებათ, რომ წინებზე იქ დიდი გაფიცვა წარ-  
მოებდა. გაფიცვის დამთავრების ზონობაში ისეც  
იყო შეტანილი, რომ გაფიცული მუშები უკან მა-  
ედოთ; სამწუხაროთ, ზონობა სისრულეში არ იქ-  
ნა მოეწინააღმდეგებოდა. უკმაყოფილო მუშები კარფის  
მამულებში არ მიიღეს. ცუდად დაჩინილი მუ-  
შები ძლიერ-ძლიერობით შოულობენ სამუშაოს.  
ამასთან ხმები გაფიცვებზე, რომ კარფს სურს  
თავის მდარობისათვის საზღვარგარეთიდან გა-  
მოაწეროს მუშებიო. — მოსალოდნელია ახალი  
კონფლიქტი.

**თვილის მებაღე-მუშათა  
პროფესიონალური კავშირი.**

**I. კავშირის მიზანი.**

1. კავშირი ისახავს მიზნათ: ა) შეაერ-  
თოს მთელი მებაღე-მუშები მათი კლასობრი-  
ვი ინტერესების დასაცველათ, ბ) გააუმჯო-  
ბოსსო თითოეული წევრის შრომის პირობები  
და გ) ხელი შეუწყოს მათ გონებრივ და ზნეო-  
ბრივ განვითარებას.

2. მუშების ნივთიერ მდგომარეობის გა-  
საუმჯობესებლათ კავშირი ღებულობს სხვადა-  
სხვა საშუალებას: ა) აწესრიგებს სამუშაო ქი-  
რას, ბ) საზღვრავს სამუშაო დროს, გ) სპობს  
ნარდ მუშაობას, დ) იძენს საკუთრებათ მო-  
ძრავ და უძრავ ქონებას და ე) ახდენს ხელ-  
შეკრულობას.

3. კავშირი აძლევს ფულით დახმარებას  
თავის წევრებს გაფიცვის, უმუშევრობის, ავად-  
მყოფობის და სამუშაოთ სხვა ქალაქში გა-  
მგზავრების დროს.

4. ამ მიზნათ განსახორციელებლათ კავ-  
შირი მართავს სამკითხველო-ბიბლიოთეკებს,  
აწყობს ლექციებს და კრებებს, გამოსცემს შე-  
ძლებისდაგვარათ გაზეთს თავის პროფესიის  
მუშებისთვის.

**II. კავშირის შედგენილობა.**

1. კავშირის წევრათ შეუძლია იყვეს ყვე-  
ლა მებაღე-მუშას არა უმცირეს 13 წლისა,  
თუ კი ის ემორჩილება ამ წესდებას; კავშირი  
ღებულობს მუშას განურჩევლათ სარწმუნოე-  
ბისა, პოლიტიკური რწმენისა ეროვნებისა და  
სქესისა. კავშირის წევრი ზნეობით ფაქიზა უნ-  
და იყოს.

**შანიშნვა:** კავშირის წევრებათ არ შეუძლიანთ  
იყვნენ მემამულეები, მოიჯარადრები და  
მათი მხანაგები.

2. კავშირის წევრებს იღებს გამგეობა  
ყოველ დროს კენჭის ყრით, იმ პირობით, თუ  
თვითეული კანდიდატი წარმოდგენილი იქნე-  
ბა არა ნაკლებ ორი წევრის მიერ.

3. კავშირის წევრათა რიც-  
ბა ყველა ის პირი, რომელიც ა  
ვლობაში არ შემოიტანს საწევრო გადას  
შეუწყნარებელ მიზეზების გამო; აგრეთვე ისე-  
თები, რომელიც თავის მოქმედებით ჩირქს  
ცხებენ კავშირს... გამოორიცხვა ხდება უბრა-  
ლო ხმის უმეტესობით.

4. თითოეული წევრი ვალდებულია შე-  
ასრულოს ყოველივე დადგენილება საზოგა-  
დო კრებისა და წესდებისა.

5. კავშირის ის წევრი, რომელიც და-  
არღვევენ მათთვის სავალდებულო დადგენი-  
ლებებს, აგრეთვე ის წევრი, რომელიც კრე-  
ბის მიერ ცნობილი იქნებიან, როგორც კავ-  
შირის ინტერესების დამრღვენი, საზოგადო  
კრების უბრალო ხმის უმეტესობით გამოირი-  
ცებიან კავშირის წევრობიდან.

6. კავშირის თვითეულ წევრს ყველა სა-  
ზოგადო კრებაზე გადამწყვეტი ხმის უფლება  
აქვს; აგრეთვე შეუძლია გამგეობის საშუალებ-  
ით თავისი განცხადება და წინადადება შეი-  
ტანოს საზოგადო კრებებზე.

**III. წარმოება კავშირის საქმეებისა.**

1. კავშირის საქმეებს აწარმოებს: ა) სა-  
ზოგადო კრება და ბ) გამგეობა.

2. საზოგადო კრებები ორგვარია: საერ-  
თო და რაიონული.

3. რაიონული და საერთო საზოგადო  
კრებები იქმნება ჩვეულებრივი და საგანგებო.

4. ჩვეულებრივ კრებებს იწვევს გამგეო-  
ბა; საერთოს — არა ნაკლებ ორისა წელიწად-  
ში და რაიონულს — არა ნაკლებ ერთისა  
თვეში.

5. საერთო საზოგადო კრება არჩევს და  
ამტკიცებს ანგარიშებს, ირჩევს სათანამდებო  
პირებს და არკვევს სხვა საქმეებს.

6. რაიონული კრება არჩევს ადგილო-  
ბრივ კონფლიქტებს და უმაღლესა ხელმძღვა-  
ნელია რაიონული მუშაობის.

7. საგანგებო კრება ხდება საქიროების  
მიხედვით; მას იწვევს ან გამგეობა და ან სა-  
რევიზიო კომისია; ან და ის იკრიბება არა ნა-  
კლებ 30 წევრის წინადადებით.

8. საზოგადო კრებებზე იხილება და სწყდე-  
ბა კითხვები, რომლებიც წამოყენებულია გამ-  
გეობისაგან და თვითეულ წევრისაგან. აგრეთ-  
ვე ის კითხვები, რომლებიც შეეხება წესდების  
შეცვლას ან მის დამტკიცებას.

**შანიშნვა:** წინადადება საგანგებო კრების მო-  
სახდენათ გამგეობის მიერ სისრულეში უნ-  
და მოვიდეს ორი კვირის განმავლობაში.

9. კავშირის ყოველივე გადამწყვეტილე-



ვაში ფირმას კარალო ხმის უმეტესობით. არტრაციკლიმსთანამდებო პირებისა ხდება დახუროული კენჭის ყრია.

**შენიშვნა:** წესდების შეცვლა შეუძლია კავშირის წევრების ორ მესამედს.

10. საზოგადო კრება კანონიერია, თუ რომ კავშირის წევრთა ნახევარზე მეტი დაესწრება.

11. თუ რომ პირველი კრება არ შესდგა საკმარისი რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ერთი კვირის განმავლობაში იმავე კითხვების გასარჩევათ ინიშნება მეორე, რომელიც ჩაიოვლება კანონიერათ მიუხედავათ იმისა თუ რამდენი წევრი დაესწრება კრებას, რომლის მოწვევის დროს ყველა წევრებს ეძლევათ ცნობა.

12. გამგეობა იმყოფება ქ. თფილისში და მას ირჩევს თავის წევრთა შორის საზოგადო კრება; გამგეობა შესდგება სხვადასხვა რაიონების წარმომადგენლებისაგან: ორთაქალიდან 3 კაცი, კრწანისიდან სამი, ნავთლულიდან სამი, ვერიდან სამი, დიდუბიდან სამი, ავჭალიდან ერთი, გლდანიდან ერთი, პატარა ორთაქალიდან ერთი... გამგეობა აირჩევა ექვსი თვის ვადით. ის განაგებს კავშირის ყოველივე საქმეებს, აგრეთვე აწარმოებს მის ქონებას.

**შენიშვნა 1:** საზოგადო კრება ირჩევს გამგეობის წევრების კანდიდატებს.

**შენიშვნა 2:** გამგეობის ვალდებულებას შეადგენს: ა) შედგენა მომავალ წლის ხარჯთაღრიცხვისა, ბ) მიღება ახალი წევრებისა, გ) ცხოვრებაში გატარება საზოგადო კრების ყველა დადგენილების და დ) ყურადღების მიქცევა, რათა მათი წესდების ყოველივე მუხლი შესრულებულ იქნეს.

13. გამგეობა თავის კრებებს მართავს კვირაში ერთხელ. გამგეობის ორ წევრს უფლება აქვს გამგეობის საგანგებო კრება მოიწვიოს.

14. გამგეობის კრება კანონიერია, თუ მას ნახევარზე მეტი წევრი დაესწრება; კითხვის გადაწყვეტა ხდება კრებაზე დამსწრე წევრთა უბრალო ხმის უმეტესობით.

**შენიშვნა:** გამგეობის დადგენილების განსაზღვრება ხდება კავშირის წევრთა საერთო კრებაზე.

15. კავშირის საზოგადო კრების დადგენილებით გამგეობის წევრნი შეიძლება გადა-

ყენებულ იქნან აღნიშნულ ვადამდის ე. ი. ვადის გასვლამდე.

**IV. კავშირის საშუალებანი.**

1. კავშირის ნივთიერ საშუალებებს შეადგენს: ა) თვითური ვადასახადი, შემოსულ მანეთზე ორი პროცენტი, ბ) ერთდროული შემოსატანი 50 კ., გ) სურვილისამებრ შემოწირულებანი და დ) შემოსავალი კავშირის სასარგებლოთ გამართულ ლექციებიდან, წარმოდგენებიდან და სხვა.

2. კავშირის ფულები ნაწილდება კავშირის ყველა საქიროებაზე.

**შენიშვნა:** კავშირის შემოსავლის 10 პროცენტი გადაეცემა პროფ. კავშ. ცენტრალურ ბიუროს.

3. შემოტარიოი ფული უკან არავის არ უბრუნდება.

**V. რევიზია კავშირის საქმეებისა.**

1. კავშირის ფულის თანხის, ოქმთა და წიგნების განსახილველოთ, შემოსავალ-გასავლის გადასათვალიერებლოთ, ანგარიშების და სმეტის შესამოწმებლოთ, საზოგადო კრება ყოველ ექვს თვეში ირჩევს თავის წევრთა შორის 3 კაცისაგან და სამათ კანდიდატებისგან სარევიზიო კომისიას.

2. რევიზიის შედეგს კომისიის წევრნი აღნიშნავენ ამისთვის არსებულ წიგნებში და შემდეგ მახლობელ საზოგადო კრებას უდგენენ რევიზიის შესახებ ვრცელ მოხსენებას.

3. სარევიზიო კომისია ახდენს რევიზიას, როდესაც ამას მოითხოვს კავშირის ოცა წევრი.

**VI. კავშირის დახურვა.**

1. კავშირის დახურვისათვის საჭიროა წევრთა ორი მესამედის თანხმობა; აგრეთვე დახურვისათვის საჭიროა ორი ზედოზედ მომხდარ კრების სურვილი; მასთან პირველი კრების შემდეგ მეორე კრების დანიშვნა უნდა მოხდეს არა უგვიანეს ორი კვირისა.

2. კავშირის დახურვის შემდეგ უძრავ-მოდრავი ქონება და ფული გადაეცემა თფილისის პროფ. კავშირთა ცენტრალურ ბიუროს.

**რედაქტორ-გამომცემელი ს. ჭალიშვილი.**

5984 J  
1907